



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

ქ. მარნეული

11.01.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, აკამედ იმამკულიევი, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ვანო ბურნაძე, დავით ხუციშვილი, ლევონ აკოპიანი, ტარიელ მამედოვი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, ნიკოლოზ მუმლაძე, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვზან ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, თორნიკე გოგლიძე, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი, რამინ ალახვერდიევი, გეიდარ მუსაევი, ილხამ გასანოვი, აივან ისკანდაროვი .

არ ესწრებოდა:

რიჩარდ გიგანი, ნიკოლოზ გოგოჭური, ჯეიხუნ ჩოიდაროვი,

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, მერის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მერის მოადგილე ლაშა ლობჯანიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ბესო ნიჟარაძე, შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორის მოადგილე ალექსანდრე მამუკელაშვილი.

სხდომას ესწრებოდა -

„TV-მარნეული“-ს და მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 11 იანვრის N03/158 წერილის განხილვის შესახებ
3. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N1. 11.01.2018 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 11 იანვრის N03/158 წერილით შემოსული დოკუმენტაცია შ.პ.ს. „სოფწყალი“-სა და შ.პ.ს. „სოგური“-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შესახებ, რომელზეც დამოკიდებულია დაახლოებით 9000 მოსახლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ხორციელდება ალტერნატიული სასმელი წყლის ჭაბურღილის მშენებლობა და ასევე აზიის განვითარების ფონდს დაგეგმილი აქვს მარნეულის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სრული რეაბილიტაცია. აღინიშნა, რომ შ.პ.ს. „სოგური“-სთან გაფორმებული ორწლიანი ხელშეკრულება, ზემოაღნიშნული პროექტების ექსპლუატაციამდე, მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს გააუმჯობესოს მოსახლეობის წყალმომარაგება, კვირაში სამდღიანი გრაფიკი შეიცვალოს ყოველდღიური წყალმომარაგებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორის მოადგილემ ალექსანდრე მამუკელაშვილმა. მან ისაუბრა იმ რისკებზე, რაც შეიძლება მოყვეს ხელშეკრულების გაუფორმებლობას. საკითხზე ისაუბრა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მიღწეული იქნა ყველაზე ოპტიმალური შეთანხმება ისე, რომ არ გაიზარდოს წინა წლებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო თანხა და ორი წელი სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ახალი წყალმომარაგების პროექტების განხორციელებამდე არ შეფერხდეს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება. მანვე აღნიშნა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული საკითხების გამო და საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მისი განხილვა ხდება საკრებულოს სხდომაზე. გამოითქვა აზრი გაკეთდეს საოქმო ჩანაწერი, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო არაა წინააღმდეგი განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 11 იანვრის N03/158 წერილით გათვალისწინებული ქმედებების აღსრულება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N1. 11.01.2018 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოცდამეექვსე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე